საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

09/03/2026

MES 2 26 0000287291

გადაწყვეტილება

**"სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
2021 წლის 13 ივლისის №706155 გადაწყვეტილებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 18 თებერვლის №182485 წერილის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №280649, 09/03/2026) დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 13 ივლისის №706155 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართი №1 - ში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
"გამოყენებითი გეოლოგია";
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 09 მარტის №280649 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 20 თებერვლიდან.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის

ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
ზუსტი ასლი
ელექტრონული